გაზეთი ღირს

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ქვევლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდად

## საქართველოს კალენდარი

1893 წლისათვის,

შედგენილი და გამოცემული ვალერიან გუნიას მიერ.

კალენდარი კვლავინდებურად დასურათებული, უფრო სრული და ყოველის ცნობით სავსე იქნება. ფასი ისევ ის დარჩება. მიიღება დასაბეჭდად ყოველ გვარი განცხადებანი. ფასი წიგნის თითო გვერდისა საგანცხადებოდ თავში 12 მ., ბოლოში 5 მან., ნახევარი გვერდი 3 მან.

მსურველთ შეუძლიან მიჰმართონ: 1) გამომცემელს სათავად-აზნაურო ბანკში; 2) წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიაში და 3) მაქსიმე შარაძის სტამბაში. (10—1)

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საუწყებლად ვაცხადებ, რომ სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებელში მოსწავლეთა მიღება და ხელ-მეორე ეგზამენები დაიწყება 15 სექტემბრიდგან. I განყოფილებაში 40 ადგილია თავისუფალი, II-ში—20, III-ში—17 და IV-ში—10. შემომსვლელთ საბუთები ჩვეულებრივუნდა წარმოადგინონ.

სასწავლებლის მმართველი ს. ყიფიანი (4—3)

ვისაც ჰსურს ქართულ თეატრში სამსახური ამ მომავალ $18^{92}/_{93}$ წ. სეზონში კეთილ ინებონ და მიჰმართონ ბ-ნ ვასილ სულხანიშვილს.

ტფილისი, რეუტოვის ქუჩა, № 10. ყოველ დღე, საღამოს 6—7 საათზედ. (10—6)


### ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

მიხეილის საავადმყოფოში დილით 9 სექტემბერს იყო ერთი ავადმყოფი; იმ დღეს მიიყვანეს ხეჩო აკოფოვი (7 ნაწ.). დილით 10 სექტემბერს 2 ავადმყოფი იყო.

გორის მაზრის უფროსი იუწყება: ხაშურის სადგურზედ 3 სექტემბერს ავად გახდა ხელოსანი ბერნიცკი; 4—7 სექტემბერს ს. ზემო-ჰალაში ავად გახდა 11, გარდ. 4, დარჩა 7; ს. ზემო-გომში გახდა ავად 4; ს. ქვეშში გარდ. 1, დარჩა 3; ს. ქვემო-არწევში მორჩა 1, ავად არავინ არის; ს. ჰალაში გარდ. 1, მორჩა 2; ავად აღარავინ არის; ს. ქვახრისში გარდ. 1, დარჩა 2; ს. ახრისში ავად გახდა 1, გარდ 1; ს. ტეზერში ავად გახდა 2.

ახალქალაქის მაზრის უფროსი იუწყება, რომ 8 სექტემბერს სოფლად ავად გახდა 2, გარდ. 2, მორჩა 1; თვით ქ. ახალქალაქში გახდა ავად 6, გარდ. 2. სულ ავად არის სოფლად 7, ქალაქში 18.

ტფილისის მაზრის უფროსი იუწყება, რომ ს. ნორიოში მორჩა 1. ავად არავინ არის.

## ახალი ამბავი

*** ხოლერა ხელ-მეორედ გაჩნდა ტფილისში. ქალაქის მოურავის აზრით, განჯიდგან მოტანილი ყურძენი ძლიერ მაწყინარი უნდა იყოს, რადგანაც განჯის გუბერნიაში ხოლერა კიდევ მძვინვარებს. ამის გამო 9 სექტემბრიდგან ქალაქის მოურავმა მიჰმართა ტფილისის გუბერნატორს და სთხოვა, აკრძალულ იქმნას განჯიდგან მოტანილ ყურძნის გაყიდვაო. აგრეთვე სთხოვს ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს ბ-ნს გრაჩოვს, განკარგულება მოახდინეთ, რომ განჯის სადგურში ყურძენი აღარ მიიღონ ტფილისში გამოსაგზავნადაო.

*** გუშინ-წინ, 9 სექტემბერს, სიონის ტაძარში გადახდილ იქმნა პანაშვიდი 7 ენკენისთვეს გარდაცვალებულის ნოვგოროდისა და პეტერბურგის მიტროპოლიტის ისიდორეს სულის მოსახსენებლად.

*** ტფილისის დედათა 1 გიმნაზიის დირექტორი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ გიმნაზიის მოსამზადებელ კლასებში მისაღები ეგზამენები და 1 და 2 კლასის მოწაფეთა განსამეორებელი ეგზამენები 15 სექტემბერს დაიწყება. მისაღები ეგზამენები 1, 2, 3 და 4 კლასებში და 3 კლასის მოწაფეთა განსამეორებელი ეგზამენები—16 სექტემბერს, ხოლო განსამეორებელი ეგზამენები უფროსს კლასებში—17 და 18 სექტემბერს.

*** რკინის გზის უფროსმა ბ-ნმა ფრიდემ განჯის გუბერნატორს სთხოვა: უბძანეთ მცველნი იქმნან დაყენებულნი კოვლიარსა და ევლახს შუა რკინის გზის დარაჯთა დასაცველად ავაზაკების თავ-დასხმისაგანაო.

*** ყველაზედ ბევრი გასარჩევი საქმე დავა-საჩივრებისა მესამე განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლესა აქვს, რომელსაც მე-8, 9 და 10 პოლიციის ნაწილები აბარია. ამ სასამართლოში აქამდე მოსამართლეობდა მხოლოდ ბ-ნი ილია ივანეს ძე წინამძღვარიშვილი; საქმეები რომ მეტად ბევრი იყო, თანაშემწე დაუნიშნეს—ტარანოვსკი და ამ ორთა აქვთ განაწილებული მთელი საქმეები, ერთს სისხლის სამართლისა, მეორეს—სამოქალაქო ცალკ-ცალკე კამერაში. დავი-საჩივარი იმდენია, რომ ორს სხვა მოსამართლესაცა ჰკმარის. როგორც ეხლა შევიტყეთ, ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს ბ-ნს წინამძღვარიშვილისათვის მეორე თანაშემწეც დაუნიშნავს და ნება მიუცია მესამე სამომრიგებელ-მოსამართლეო კამერის დაარსების, რომელიც უკვე მომზადებულ-მოწყობილია კიდეც. ბ-ნ წინამძღვარიშვილის მეორე თანაშემწედ დანიშნულია ამავე სასამართლოს გამომძიებელი ბ-ნი კუზმინი, რომელიც სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებს გაარჩევს. გამომძიებლად ამ სასამართლოში, ბ-ნ კუზმინის მაგიერ, სხვა იქნება დანიშნული.

*** მომავალ სეზონისათვის ქართულის თეატრის ადმინისტრაციას რამდენიმე ახალი პიესა წარუდგენია საცენზურო კომიტეტისთვის ნების დასართველად. სხვათა შორის თარგმანი 5 მოქმედ. ფრანგულის დრამისა: „პარიჟის ლატაკნი", 3 მოქმ. კომედია „ზოგი ჭირი მარგებელია", „ვაის გავეყარე და ვუის შევეყარე", ბომარშეს 5 მოქმედ. კომედია „ვაჭრის ქორწინება" და სხვ.

*** ბ-ნ ვალ. გუნიას დაუწერია ახალი ორიგინალი კომედია-ხუმრობა 1 მოქმედებად „ხოლერობა". პიესის შინაარსი აგებულია წრევანდელ ხოლერობის ამბავზედ. ვისაც მოუსმენია, ისინი ამბობენ, რომ შიგ მრავალი სასაცილო მდგომარეობა და მახვილი, საოხუჯო სიტყვა-პასუხიაო.

*** ქართულ თეატრის ადმინისტრაციას მიუღია რამდენიმე ახალი ორიგინალი პიესა. სხვათა შორის, მოუწონებიათ და ამ დამდეგს სეზონში წარმოადგენენ კიდეც ორის ახალგაზდა მწერლის პიესას: ერთს ეწოდება «გამოურკვეველი ოცნებანი» სამ სცენად და მეორეს—„ჩვენის დროის ქალები", სამ-მოქმედებიანი კომედიაა. ორივე პიესა, როგორც ამბობენ, ჩვენს დღევანდელს უკუღმართობას შეეხება.

*** ჩვენ მივიღეთ „წ.-კით. გამავრცელებელ საზოგადოების" მიერ ახლად დაბეჭდილი სახელმძღვანელო წიგნი „ბუნების კარი", ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი, უმცროს კლასებში სახმარებელი, იაკობ გოგებაშვილისა. ეს წიგნი აგერ მეშვიდედ იბეჭდება. თითო დაბეჭდვაზედ ათასობით დამზადდება ხოლმე და ორ-სამ წელიწადს იყიდება სრულიად. „დედა-ენას" შემდეგ ეს მეორე ქართული წიგნია, რომელიც ასე მრავლად ვრცელდება ჩვენს სკოლებში. ახლად დასტამბული „ბუნების კარი" დაბეჭდილია სუფთად, შემკულია ჩვეულებრივის სურათებით და ბოლოში დართული აქვს საქართველოს რუკა.

*** გორის მაზრის უფროსი იუწყება: 5—6 სექტემბერს სოფ. ჰალაში ავად იყო 2, ავად გახდა 4, გარდ. 3; ტყვიავში ავად იყო 2, ავად გახდა 11, გარდ. 8, მორჩა 3, ავად არის 2; კარბში ავად გახდა 9, გარდ. 7, ავად არის 2; შინდისში ავად გახდა 3, გარდ. 3, ავად არის 2; ბორჯომში ავად იყო 1, მორჩა 1; სურამში ავად გახდა 1; ახალუბანში გარდ. 1; კოდის-წყაროს გარდ. 1; ქვეშში ავად გახდა 1; ზერთში ავად გახდა 1, გარდ. 1.

*** გომი: გომში ხოლერამ იმატა და ამიტომ იქ გაგზავნილ იქმნა ამიერ-კავკასიის რკინის გზის ექიმი ხუდადოვი ფერშლებითურთ. გუშინ-წინ, 9 სექტემბერს, ხუდადოვმა მოახდინა დეზინფექცია გომის ყველა იმ სახლში, სადაც-კი ხოლერიანი ავადმყოფები აღმოჩნდნენ.

*** 5 სექტემბერს განჯაში ავად გახდა 1, ავად არის 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდ. 76, მორჩა 26, გარდ. 46, ავად არის 123.

შურაში ავად არავინ გამხდარა; მთელს ოლქში ავად გახდა 114, გარდ. 36, მორჩა 170, ავად არის 404.

ყარსში ავად გახდა 6, მორჩა 3, გარდ. 2, ავად არის 28; მთელს ოლქში ავად გახდა 17, გარდ. 5, მორჩა 9.

სტავროპოლში ავად გახდა 11, გარდ. 4, მორჩა 6; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 268, გარდ. 111, მორჩა 139.

ზაქათალის ოლქში ავად გახდა 3, მორჩა 2, გარდ. 2, ავად არის 13.

*** ზრეთი: შარშან კალოობას კნ. ეკატერინე ესტატეს ასულმა ავალიშვილისამ ბრეთსა და სალოლაშენში მომავალ დედათა სკოლის სასარგებლოდ შეჰკრიბა ხორბალი, რომელიც შესდგა 10 კოდი და 4 ჩანახი. წელსკი ხოლერამ ხელი შეუშალა და ვერ შეუდგა ამ სასარგებლო საქმეს. კნ. ეკატერინემ სულზედ დედათა სქესს შეაწერა ორი ჩანახი პური, მაგრამ მომეტებულმა ნაწილმა ოთხ-ოთხი ჩანახიც არ დაიშურა ამ სასარგებლო საქმისათვის. აი იმათი სია, რომელთაც პური შემოსწირეს:

ბრეთში კნ. ნანა ავალიშვილისამ 4 ჩან., ელისაბედ და ოლგა ავალიშვილისამ 4 ჩან., კეკემ 4 ჩან., ელენემ 2 ჩან., მარო ქანანოვისამ 2 ჩან., ნატო ედილაშვილისამ 4 ჩან., დარია ედილაშვილისამ 4 ჩან., რახიელ ესტატეს, ასულმა ციციშვილისამ 1 კოდი; ეკატერინე ესტატეს ასულმა ავალიშვილისამ 1 კოდი ⅾ 4 ჩ., თალია ესტატეს ასულმა ფალავანდიშვილისამ 1 კოდი ეკატერინე კალატოზიშვილისამ 1 კოდ.; კნ. მაკინემ 4 ჩან., მაგდან ყიფშიძისამ 4 ჩან., ცაცა იშხნელისამ 4 ჩან., სოფიო იშხნელისამ 4 ჩან., ეკატერინე იშხნელისამ 4 ჩან., სალომე იშხნელისამ 4 ჩან. სულ შესდგა 10 კოდი და 4 ჩ. ეს ათი კოდი და 4 ჩანახი პური იყო გასესხებული კოდი 2 ჩანახად, ე. ი. სულ სამ კოდად და სამ ჩანახად, რაც შეადგენს 13 კოდს და 7 ჩანახს. ეხლა კნ. ეკატერინეს განზრახვა აქვს ეს შეკრებილი პური გაჰყიდოს და ანაღებ ფული მომავალ დედათა სკოლის კომიტეტს გაუგზავნოს.

*** გურჯაანი (სიღნაღის მაზრა): ამ დღეებში აქ მოუვიდათ ჩხუბი ძმებს დათიკაშვილებს, რომელთაც უნდოდათ თავის მეზობელ გორხელაშვილებისათვის ვენახი წაერთვათ. როდესაც მიხეილი და ივანე გორხელაშვილები მუშაობდნენ ვენახში, დათიკაშვილები მიუხტნენ და ვენახიდგან გამორეკეს გორხელაშვილები. ეს საქმე გამომძიებელს გადასცეს.

*** განჯა: 9 სექტემბერს ღამის 12 საათზედ დაეცნენ ავაზაკები რკინის გზის ლიანდაგის დარაჯების ოთხს სადგურს და წაიღეს 73 მ. ფულად და სხვა-და-სხვა ნივთი 47 მანათისა.

*** გომი (გორის მაზრა): აცივდა, მაგრამ ხოლერამ თავისი არ დაიშალა. გომის რკინის გზის სადგურთან სოფელი გომია გაშენებული; ამ სოფელში ორმოცამდე მეკომური უნდა იყოს, ჩამომავლობით ოსები, ოსეთიდგან გადმოსახლებულნი. ამ თთვის დამდეგს გომელებსაც ეწვიათ დაუპატიჟებელი სტუმარი ხოლერა და სამის დღის განმავლობაში თორმეტი იმსხვერპლა და შვიდიც ავადმყოფია. ამ თთვის რვას რკინის გზის მკურნალმა შულცმა ფერშლითურთ „დეზინფექცია" მოახდინა იმ სახლებში, სადაც გარდაცვლილიყვნენ, ან ავად იყვნენ.

*** ქარელი (გორის მაზრა): ორს თთვეზედ მეტია, რაც სოფელ რუისის არჩევანით დანიშნულ იქმნა რუისში მამასახლისად ბ-ნი გ. მამაცაშვილი. მამაცაშვილი შეგნებული და შესმენილი კაცია და ამ ხოლერობაში რუისელებს ცოტა სარგებლობა არ მოუტანა. სამის კვირის განმავლობაში რუისში ხოლერამ სამოცამდე კაცი იმსხვერპლა. ეს ერთი თთვე იქნება, რაც იქ აღარავინ გამხდარა ავად; მიზეზი სისუფთავე უნდა იყოს. მამასახლისმა მამაცაშვილმა სისუფთავეს დიდი ყურადღება მიაქცია; რუისი თითქმის ყოველ დღეს სუფთავდება; გარდა ამისა ყველა სოფელში, რომელიც რუისის საზოგადოებას ეკუთვნის, მამაცაშვილმა ბძანება გაჰგზავნა და თითონაც ყურს უგდებს, რომ სისუფთავე არსებობდეს.

*** წინანდალი (თელავის მაზრა): ამ დღეებში აქ მოჰკლეს საუფლისწულო მამულების მოიჯარადრე, ოსიალეთის ქვეშევრდომი ბერძენი გიორგი მარანდოვი. მარანდოვი სადილად ყოფილიყო წინანდალის მცხოვრებ აკოფ მამალაშვილთან და შინისაკენ რომ წამოსულა, გზაში დახვედრიან

ავაზაკები, მოუკლავთ და შემდეგ გვამი ტყეში შეუთრევიათ.

** სოფ. ლეხიდრისთავი (ლეჩხუმის მაზრა): ჩვენი სოფელი ძლიერ მივიწყებული სოფელია. ეს გარემოება უფრო უგზო-უკვლოობის ბრალია. იმას ვერ მოესწრნენ ამ სოფლის მცხოვრებნი, რომ გზაზედ ხარი და ურემი თამამად ატარონ: უსათუოდ სადმე ან ხარი, ან მეურმე გადაიჩეხება. აქამდე მდინარე ლეხიდარზედ ხიდი მაინც იყო და ახლა ეს ერთი წელიწადია ხიდიც ჩაინგრა. თუ წყალმა მოიმატა, მგზავრმა უნდა უცადოს წყლის დაკლებას. აქაურის მამასახლისის თაოსნობით ამ გზის კეთება დაიწყეს, მაგრამ იმან მალე მამასახლისობას თავი დაანება და ეს კეთილი საქმეც ჩაილულის წყალს მიეცა. ისე ვართ მიყრუებული, რომ დიდი ამბავი უნდა იყოს, რომ ან მაზრის უფროსი მობრძანდეს ჩვენში, ან ბოქაული.

აქეთკენ სოფლებში წელს არავითარი ავადმყოფობა არ არის. თუმცა ხალხი შიშობდა და მოელოდა ხოლერას, მაგრამ ღმერთმა შეგვიბრალა და ჯერ-ჯერობით გადავრჩით.

** სვანეთი, 31 აგვისტო: სვანეთის სოფლებში თითქმის ყოველთვის იყო „სნება“, რომელსაც ვეძახით „საორმოცოს“ და მოუვლელობის მიზეზით იხოცებოდნენ მრავალნი. ახლა გაჩნდა ხოლერა, რომელმაც ჯერ-ჯერობით 12 მკვიდრი მოჰკლა, 7-კი მორჩა და 9 ავად არის. ხალხი ისე ერიდება ამ სენს, რომ სოფელში აღარა რჩებიან და სულ შორეულს მთებში იხიზნებიან. ლენტეხსა და ზოგიერთ სხვა სოფლებში ყანა გაულეწელი და დაუმუშავებელი ურჩებათ.

** სოფ. ზემო-ხანდაკი (გორის მაზრა): ბევრი დააზარალა, ბევრი მწარედ დაალონა და აატირა დაუნდობელმა და საზარელმა ხოლერამ. თითქმის დღე არ გასულა მარიამობისთვეში ისე, რომ ან არავინ გამხდარიყო ავად, ან არავინ ემსხვერპლა ამ ძლევა-მოსილს სენს. ოც-და-ორის დღის განმავლობაში ოც-და-ათამდის მცხოვრები გამოასალმა წუთი-სოფელს.

ხოლერამ იმსხვერპლა, სხვათა შორის, ერთი ფრიად ღარიბი და წვრილშვილი აზნაური ნიკოლოოზ გოგიბედაშვილი. დარჩა ყოველ შეძლებასა და ცხოვრების სახსარს მოკლებული მისი ცოლი ოთხის ქალ-ვაჟით.

** სოფ. შაშიანი (თელავის მაზრა): აქაურმა მღვდელმა ში—შვილმა დიდი სამადლობელი საქმე ჰქმნა: შვიდი წელიწადია აწარმოებს სამრევლო სკოლას, რომელიც თავის სახლშივე აქვს მოთავსებული, თუმცა ამ გარემოების გამო თითონ დიდად შევიწროებულია. მღვდელმა ბევრი სთხოვა მრევლს ერთის სასკოლო ოთახის აშენება, მა გრამ მრევლს უჭირდებოდა ხარჯის გაღება. ესევე მრავალჯერ სთხოვა მრევლს ბლაღოჩინმა-მღვდელმა ს. რც—ძემ. ბოლოს როგორც იყო დაიყოლიეს გლეხ-კაცობა და 4 აგვისტოს ბლაღოჩინისა, მღვდლისა და ადმინისტრაციის წარმომადგენელის ჩაგონებით ხალხი შეუდგა შენობის გაკეთებას. თვით ბლაღოჩინმა პირველმა შესწირა ამ საქმეს 3 მან. ფული. აგრეთვე სხვებმაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი. დღეს შენობა თითქმის მზად არის.

** სოფ. მუხრანი (დუშეთის მაზრა): სოფელი მუხრანი ტრიალ მინდორზეა და გარშემო არტყია მრავალი ვენახი. ნიადაგი სოფლისა ჭაობიანია. სოფელში ბევრს სახლს შეხვდებით (ნამეტნავად ჭაობის უბანში), რომელშიაც ფშის წყარო ამოჩუხჩუხებს. სახლების მომეტებული ნაწილი ზედიზედ არის მიტყუპული და გადაბმული. თუ არ პატარ-პატარა სანათურები, სხვაფრივ ვერ მიხვდებით, რომ ამ მიწაში რამდენიმე მოსახლე სცხოვრობს. სოფელშივეა დამართული საბზელ-კალოები, ბაკები და ბოსლები. სოფელს გარედაც შეხვდებით დიდრონს გუბეებს, ბაყაყებით სავსეს. ყველა ამას მიუმატეთ ხალხის ბინძური და დაუდევარი ცხოვრება და ადვილად მიხვდებით, რა შედეგიც უნდა ჰქონოდა აქ ხოლერის გაჩენას. მართალია, გაჩნდა ხოლერა და ყოველივე ვითარებაც ხელს უწყობდა მის გაძლიერებას, მაგრამ, ღვთით, მაინც ვერ იბოგინა. სამი ათასამდე სული მცხოვრები იქნება აქა და სულ ათი-თორმეტი იმსხვერპლა სენმა. ამდენიც ავად გახდა და მორჩა.

ჩვენმა მამასახლისმა დაიქირავა ერთი კაცი ხოლერით გარდაცვალებულების დასამარხავად სოფლის ბოლოს დ ყველა ხოლერით გარდაცვალებულის პატრონი მოვალე იყო ამისათვის გადაეხადა ხუთი მანეთი.

აქაურმა თავადებმა თითო თუმანი შესწირეს სოფელს ხოლერასთან საბრძოლველად. ერთმა ჩვენებურმა მკვიდრმა, რომელიც ქალაქში ვაჭრობს, ათი თუმანი არ დაიშურა ამავე საგნისათვის.

მადლობის ღირსია ჩვენი სასანიტარო ზედამხედველი. ის ცოტაც, რაც გაკეთდა ჩვენში ხოლერის საწინააღმდეგოდ, მისის მეთაურობით და მეოხებით გაკეთდა.

საზოგადოდ ჩვენში ძვირია იმისთანა კაცი, რომელსაც სოფლის ავკარგიანობისათვის გული სტკიოდეს, მოჰკიდოს სოფლის საქმეს ხელი და რიგიანად აწარმოოს.

** სამტრედია (სენაკის მაზრა): საუბედუროდ, სამტრედიაც არ ასცდა ხოლერას. თუმცა ეს სოფელი სანიტარულის მხრით ზოგიერთ ქალაქსაც არ ჩამოუვარდება, მაგრამ მაინც აქ ხოლერამ ჯერ ისევ 20 აგვისტომდე ათი-თხუთმეტი კაცი იმსხვერპლა.

დიდად სასიამოვნოა, რომ წინანდელ ტალახიან ქუჩების ნაცვლად დღეს სამტრედიაში ვხედავთ მშვენივრად დაგვილ-დაწმენდილებს. დიდის ხნიდგან დაგუბებულს ტბას ხომ კარგა ხანია მოუღეს ბოლო. ასე წარმოიდგინეთ, „უფასო საჩაიეც“-კი გაჰმართეს, სადაც ყოველ დღე ორას-სამასის კაცისათვის მზადდებოდა ჩაი პურით. ჩვენი ბლაღოჩინი მამა ერ. კანდელაკი ძალიან დაგვეხმარა ამ საქმეში. ბლაღოჩინმა ჩამოიარა მთელი დაბა და აუხსნა ვაჭრებს მიუცილებელი საჭიროება უფასო საჩაიეს დაარსებისა. საზოგადოებამაც არ დაიზარა შემწეობის აღმოჩენა და, შეძლებისადა გვარად, თანაუგრძნო ამ კეთილის კაცის რჩევას, რომლის შემწეობითაც მოაგროვეს ორას-სამას მანათამდის ფული და დაარსეს „უფასო საჩაიე“.

ქალაქის გასუფთავებაში დიდი შრომა მიიღო ჩვენმა ბოქაულმა ბ-ნ ირაკლი დუმბაძემ, რომელმაც თავისის მხნეობითა და დაუცხრომელის შრომით დიდად გაასუფთავა ჩვენი პატარა ქალაქი.

** გაზეთ „Нов. Вр.“-ს სიტყვით, სამოქალაქო ახალი დებულება კავკასიაში ჯერ-ჯერობით არ იქმნება შემოღებული.

** 9 სექტემბერს წყნეთის ქუჩაზედ სიმონ მამაჯანიშვილი წაეჩხუბა მეეტლეს სადი-ოღლის და ხანჯლით დასჭრა. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს, დამნაშავე-კი შეიპყრეს.

** ამავე დღეს ავლაბრის ქუჩაზედ იპოვნეს ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

—

**შეცდომის გასწორება**: გუშინდელს წერილში „ჩემი თარგმანები ჩანგში“—დაბეჭდილია მესამე სვეტზედ ბოლოში: რა მიზეზითა და რათ ვხმარობ მე სიტყვებს, რომელსაც ჩვენი ეხლანდელი მეტი წილი მწერლობა ხმარობს... უნდა იყოს: „რომელსაც მეტი წილი მწერლობა არა ხმარობს“...

## მთავრობის განკარგულებანი

უმაღლესად დაჯილდოვებულ იქმნენ ხანგრძლივის ერთგულ სამსახურისათვის: კავკასიის გზათა უწყების საკრებულოს მმართველობის წევრი, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი გაბრიელ სუნდუკიანცი, კავკასიის ქვეითა ჯარის კორპუსის უფროსი, გენერალი თ. ზაქარია ჭავჭავაძე. ებოძათ ორდენი წმ. ანნასი მესამე ხარისხისა კოლეჟსკი ასესორს სიმონ გოცირიძეს, საგანგებო საქმეთა უმცროსს მოხელეს თ. ილია მელიქიშვილს.

ორდ. წმ. სტანისლავისა მეორე ხარისხისა ნადვორნი სოვეტნიკებს: ქუთაისის გუბერნიის ართვინის ოლქის უფროსის თანაშემწეს ლუკა გაბუნიას; უმცროსს თანაშემწეს დაღესტნის ოლქისას თ. იოსებს შალიკაშვილს.

წმ. ანნასი მესამე ხარისხისა: კავკასიის სამხედრო ოლქის საინტენდანტო მმართველობის სტოლის უფროსს, ნადვორნი სოვეტნიკს დავით დაფქვიაშვილს.

წმ. ვლადიმერისა მესამე ხარისხისა, კავკასიის სამხედრო სამკურნალო სამმართველოს მკურნალს ივანე პანტიუხოვს.

წმ. ანნასი მეორე ხარისხისა: გორის სათადარიგო ჯარის მკურნალს ქაისოსრო ფურცელაძეს.

წმ. სტანისლავისა მესამე ხარისხისა: ჩერნომორსკის პოლკის მკურნალს თ. კონსტანტინე არგუთინსკი-დოლგორუკს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**გორი**, 19 აგვისტო. ყოველ წლივ, 15 ივნისს, არის ხოლმე კრება გორის სამასწავლებლო ოლქის სამღვდელოთა. წელსაც ჩვეულებრივად დანიშნულს ვადაზედ იყო კრება. კრება განიხილავს ხოლმე სასწავლებლისაგან წარდგენილს სხვა-და-სხვა საგანს. წელს ძალიან სამძიმო საგნები ჰქონდათ გარდასაწყვეტი; სასწავლებლის გამგეობამ ითხოვა, მთლად გადაეკეთებინათ სასწავლებლის ახალი სახლები. სასწავლებელი სულ სამი წელიწადია, რაც აშენდა; ამ ხნის განმავლობაში იატაკმა ძალიან გაიწია, წამალი ასცვივდა, ბანის სახურავსაც შეღებვა დასჭირდა; ამ საგნისათვის ასი თუმანი ითხოვა სასწავლებელმა; რასაკვირველია, სამღვდელოება, ისეც დატვირთული მრავალის გარდასახადით სასწავლებლის გამო, ძალიან შეფიქრიანდა; სამღვდელოება თავის ხარჯით ინახავს ორს მოსამზადებელს კლასსა, ბავშვების ყურის მგდებელსა, მღვდელსა, ქართულის ენისა და გალობის მასწავლებლებსა, კიდევ სხვა-და-სხვა წვრილმანის საჭიროებისათვის ფულსა ჰხარჯავს და, რასაკვირველია, ასი თუმნის გამოტანა საგრძნობელი იქნებოდა; კრებამ უარიც განაცხადა. ამ გაჭირვების დროს გაუჩნდათ გორში ბ-ნი თ—ი, რომელიც ითვლება სასწავლებლის საპატიო მზრუნველად და რომელმაც განაცხადა კრებაზედ, რომ მე ვკისრულობ უსასყიდლოდ, ჩემის საკუთარის ხარჯით, მთლად სასწავლებლის შეღებვა-გალესასაო. რაც შეეხება იატაკის აყრასა და ხელ-ახლად დაგებას—ეს ძალიან საძნელო საქმეა; აყრა ბევრს ხარჯს მოითხოვს და ისევ სჯობიან იატაკი ყველგან მიიწიოს და მიწეულ ადგილებში ფიცარი გაიჭედოს წებოთი და ზედ წებო გადაესხასო. სამღვდელოება დაჰყაბულდა და რადგან იატაკების გასაკეთებლად სხვა კაცი უნდა დაექირათ, არჩიეს, ეს საქმეც ა. თ—ის მიენდოთ, რისათვისაც მას გადაუწყვიტეს ოც-და-ათი თუმანი. ამ გვარად ა. თ—მა სამღვდელოება გადაარჩინა ას თუმანს ხარჯსა და მარტო ოც-და-ათი თუმანი გაალებინა. სამღვდელოება დიდად მადლობელი დარჩა; წარადგინეს ეს საქმე ექსარხოსთან, რომელმაც დაამტკიცა. ჟურნალის დამტკიცებამდე თ—მა დაახვია მუშები და მთელი სასწავლებელი გაახლა. მაგრამ სიკეთისათვის სიკეთე არვის უქმნია, ნათქვამია. როგორც ვსთქვით, თ—ა დიდი შემწეობა აღმოუჩინა სამღვდელოებას, ამან-კი სიკეთე არ დაინახა და გაუჯანჯალა ოც-და-ათის თუმნის მიღება; ჟურნალში ჩაუწერიათ, იატაკის აყრისა და ხელ-ახლად დაგებისათვის მიეცეს ოც-და-ათი თუმანიო; თქმულობა და გარიგება-კი იყო, რომ იატაკები მიეწია, გაეჭედნა ახალის ფიცრების ჩამატებით და მთლად წებოთი გაემაგრებინა. დღეს თ—ს იმ ოც-და-ათს თუმანს აღარ აძლევენ იმ დიდის შემწეობისათვის, იმ დიდის სიკეთისათვის, რომელიც იმან აღმოუჩინა სასწავლებელს კერძოდ და სამღვდელოებას საზოგადოდ.

სამღვდელოებამ, სხვათა შორის, დაადგინა იქონიოს სასწავლებელში პატარა აფთიაქი და ფერშალი ჯამაგირით; სასწავლებლის ფერშლად აურჩევიათ ბ-ნი ტკაჩენკო, რომელსაც თვეში ერთი თუმანი ექნება ჯამაგირი; აფთიაქისათვის ამ ხნობით გადადებულაი იმდენი ფული, რომ ყველა საჭირო წამალი შეიძინონ; ამას გარდა, ყოველ წლივად არის გადადებული ფული, რომ აფთიაქი დღითი-დღე გადიდდეს და გაუმჯობესდეს.

სხვა განკარგულებათა შორის ერთი ფრიად საყურადღებო საგანსაც შეეხნენ კრებაზედ მღვდლები: აგერ სამი წელიწადი გახდა, რაც გორის სასულიერო სასწავლებელი გადაიტანეს ახალს სადგურში; სამი წელიწადია, რაც ეკლესია, რომელიც შიგ სახლებშია მოთავსებული წმ. გიორგი მთაწმინდელის სახელობაზედ, აკურთხეს და სამჯერ არ წაუკითხნიათ ქართული საეკლესიო წიგნები, სამჯერ არ უწირნიათ ქართულად; მხოლოდ ხანდახან რუსულ-ქართული წირვა იყო ხოლმე რუსულ-ქართულის გალობითაო. სამღვდელოებამ ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება და განსაკუთრებულის ქაღალდით სთხოვა ექსარხოსს პალადის, რომ ქართულს საეკლესიო წიგნების კითხვას ჯეროვანი ადგილი მიეცეს სასწავლებელშიო; მიენდოს შეგირდების მომზადება საეკლესიო წიგნების კითხვაში ქართულის ენის მასწავლებელს ბ-ნ ს. მგალობლიშვილსა და სასწავლებლის ეკკლესიის მღვდელს კ. მცხვეთაძესაო. მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ექსარხოსმა პალადიმ კეთილ ინება დამტკიცება ზემოხსენებულის სამღვდელოთა თხოვნისა, ასე რომ დღეის შემდეგ გორის სასულიერო სასწავლებელში ბავშვები ქართულს საეკლესიო წიგნების კითხვას და ხმარებას შეეჩვევიან, რაიცა მათთვის ასე საჭიროა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

3 სექტემბერს პარიჟიდგან გაემგზავრა ჰამბურგს ამერიკის გაზეთის „New-Iork-Herald“-ის კორესპონდენტი სტენგოპი. პასტერმა თან გაატანა სტენგოპს წერილები, რომლითაც სთხოვს ჰამბურგის მკურნალთ, სტენგოპს ყოველ გვარი შემწეობა აღმოუჩინეთ და დაეხმარეთო. სტენგოპმა სწორედ რომ საკვირველი გმირობა გამოიჩინა. მკურნალი ჰავკინი ამბობს, სტენგოპს ოცჯერ აუცრეს ხოლერა და ოცჯერვე ვაჟკაცურად აიტანაო.

საფრანგეთის გაზეთებში დაბეჭდილია სტენგოპის მოკლე, მაგრამ ძლიერ საყურადღებო კორესპონდენცია პარიჟიდგან, საცა ხოლერა აუცრეს:

მე მსურდა ჩემს თავზედ მეცადა ხოლერის აცრა და ამიტომ მივმართე მკურნალ ჰავკინსა და პროფესორს რუს; პროფესორმა რუმ ხოლერის მიკრობები მიჩვენა და მითხრა:

— გაფრთხილებთ, ეს მიკრობები საიგონს ხოლერით გარდაცვალებულთა გვამიდგან არის აღებული და ნამდვილი ხოლერის მიკრობებია.

ამ ჟამად, როცა ამ წერილსა გწერთ, ჩემს სხეულში უკვე რამდენიმე ათასი ხოლერის მიკრობია.

შემდეგ სტენგოფი სწერს:

11 სექტემბერს 11 საათზედ ხოლერა ამიცრეს.

2 საათ. 11 წამ. აცრილ ადგილას ტკივილსა ვგრძნობ; ხელები ცხელი მაქვს; ადგილიდგან ძლივს ვიძვრი.

4 საათ. 15 წამ. მარცხენა მხარეს ტკივილს ვგრძნობ. სიცხეს მამლევს, თავი მძიმედა მაქვს.

9 საათი. ძლივს დავდივარ. მარცხენა ხელს სრულიად ვეღარა ვხმარობ. ნაცნობები მეუბნებიან, სამარიდგან ამოღებულსა ჰგავხარო.

10 საათი. ძლიერ ცუდად შევიქენ. იძულებული გავხდი ლოგინში ჩავწოლილიყავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. ენკენისთვე. მშვენიერად მძინავს. თავი აღარა მტკივა. მთელი სხეული თითქოს დამტვრეული მაქვს. კუჭი დამიმშვიდდა. სხვაფრივ კარგად ვარ.

მორჩენის უმალვე სტენგოში ჰამბურგს გაემგზავრა და იქ განზრახვა აქვს ხოლერიან ავადმყოფებთან ერთად იცხოვროს, მათთან ერთად სჭამოს, სვას და ერთს ოთახში დაიძინოს ხოლმე, რათა სცადოს, შეხვდება თუ არა ხოლერა.

ხოლერის აცრის შესახებვე უკვე ვკითხულობთ გაზეთ „Gaulois“-ში, რომ პარიჟის ინსტიტუტის პროფესორს ბ-ნ პასტერს განზრახვა აქვს მომავალ წლის მარტში ერთი მკურნალი გაჰგზავნოს ინდოეთში, რომელსაც დავალებული ექნება, რომ სიამში ხოლერის აცრა სცადოს. ამ საქმისათვისვე გაგზავნილი იქნება ინდოეთს ინგლისის მთავრობისაგან მკურნალი განკინი.

## რუსეთი

პეტერბურგს 2 და 3 სექტემბერს ავად გახდა 59, გარდ. 8, მორჩა 58.

მოსკოვს 1 სექტემბერს ავად გახდა 17, გარდ. 7, მორჩა 9; მთელს. გუბერნიაში ავად გახდა 5, გარდ. 2, მორჩა 2.

ვორონეჟს 1 სექტემბერს მორჩა 1, ავად არავინ გამხდარა; მთელს გუბერნიაში გარდაიცვალა 211.

ეკატერინოსლავში 1 სექტემბერს ავად გახდა 20, გარდ. 5, მორჩა 5; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 80, გარდ. 34, მორჩა 61.

ყაზანს 1 სექტემბერს ავად გახდა 5, გარდ. 3, მორჩა 2; მთელს გუბერნიაში ხელ-ახლად ავად გახდა 136, გარდ. 60.

კიევს 1 სექტემბერს ავად გახდა 65, გარდ. 34, მორჩა 33; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 16, გარდ. 8, მორჩა 4.

კურსკს 1 სექტემბერს ავად გახდა 9, გარდ. 5, მორჩა 2; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 86, გარდ. 45, მორჩა 26.

ნიჟნი-ნოვგოროდს 2 სექტემბერს ავად გახდა 6, გარდ. 6, მორჩა 10; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 28, გარდ. 11, მორჩა 15.

ორენბურგს 1 სექტემბერს ავად გახდა 8, გარდ. 4, მორჩა 2; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 52, გარდ. 22, მორჩა 26.

სამარას 1 სექტემბერს ავად გახდა 3, გარდ. 3, მორჩა 1; მთელს გუბერნიაში გარდ. 343.

სარატოვს 1 სექტემბერს ავად გახდა 3, გარდ. 1, მორჩა 2; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 735, გარდ. 397.

სიმბირსკს 1 სექტემბერს გარდ. 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 90, გარდ. 34.

ტამბოვს 1 სექტემბერს ავად გახდა 1; მთელს გუბერნიაში 1 და 2 სექტემბერს ყოველ დღე ორთა შუა რიცხვით ავად ხდებოდა 399, იხოცებოდა 230, რჩებოდა 306.

უფას 31 აგვისტოს და 1 სექტემბერს ავად გახდა 21, გარდ. 12, მორჩა 6; მთელს გუბერნიაში იმავე ხნის განმავლობაში ავად გახდა 131, გარდ. 69.

ხარკოვს 1 სექტემბერს ავად გახდა 45, გარდ. 19; ნოვოჩერკასკს 30 და 31 აგვისტოს ავად გახდა 10, გარდ. 7, მორჩა 4; როსტოვსა და ნახიჩევანს ავად გახდა 3, გარდ. 2, მორჩა 3.

ტაგანროგს ავად გახდა 6, გარდ. 2, მორჩა 1; მთელს ოლქში იმავე დროს ავად გახდა 747, გარდ. 288, მორჩა 435.

ურალსკში 1 სექტემბერს ავად გახდა 18, გარდ. 9, მორჩა 18; მთელს ოლქში ხელ-ახლად ავად გახდა 191, გარდ. 82, მორჩა 164.

## უცხოეთი

**ინგლისი.** ჯონ მორლეი ამ ჟამად ირლანდიაშია და თავის ახალს თანამდებობას ასრულებს. ირლანდიის საქმეთა გამგეობა ჯონ მორლეისა და ლორდ გოფტონის ხელშია. ეს გარემოება ეხლავე დაეტყო ირლანდიას. ძველი კანონი დევნისა და ძალ-დატანებისა, რომელიც შემოიღეს კონსერვატორებმა და რომელიც აღსრულებაში მოდიოდა წინანდელ სეკრეტარ ბალფურის დროს, ეხლა აღარ მოდის აღსრულებაში. აი, მაგალითად, იმ დღეს დიდი კრება იყო. კრებაზედ ლაპარაკობდა ირლანდიის დიდი პატრიოტი ო'ბრიენი, მაგრამ არც ერთი პოლიციელიც-კი არსად არა სჩანდა ახლო-მახლო. მერე რა მოხდა ამის გამო? მოხდა ის, რომ კრებაზედ დიდი გულ-დამშვიდება და წესიერება სუფევდა.

— ამას წინად ზოგიერთმა იმ ამხანაგობამ, რომელთაც აზრადა აქვთ აშენება სახლებისა შუათანა შეძლების კაცთათვის და ამიტომ იბარებენ ფულს, უცბად შესწყვიტეს დაბრუნება ფულისა პატრონთათვის. ამის გამო ბიკბერკის ბანკს, რომელიც დიდის ხნის დაარსებულია და კარგი სახელი აქვს, დილა ადრიან დაეხვივნენ ფულის მიმბარებელნი და ითხოვდნენ უკან თავიანთ ანაბარს. ბანკი დღემდე განუწყვეტლივ უბრუნებს ფულს ყველას. ინგლისის ბანკიც მიეშველა ამ დროს თავის თანამოძმეს და 1 სექტემბერს მისცა სესხად ნახევარ მილიონი გირვანქა სტერლინგი.

— ლონდონის პოლიციის მოხელეებს უნდათ დიდი კრება გამართონ ტრაფალგარის ბაღში თავიანთ საჭიროების გასათვალისწინებლად. ასეთისავე კრების გამართვას აპირობენ სოციალისტებიც. სალისბერის დროს ასეთი კრებანი აღკრძალული იყო. ეხლანდელი შინაგან საქმეთა მინისტრი ასკვიტი ჰფიქრობს ნება მისცეს ამ კრებათა გამართვისა, რათა ამით მოისპოს ერთ-ერთი მუდამი წყარო მრავალის უსიამოვნებისა სალისბერის მთავარ-მინისტრობის დროს.

— ამას წინად რომ რუსეთის კრეისერმა ბერინგის ზღვაში ინგლისის გემი შეიპყრა, დღეს ამ საგნის გამო მოხსენებაა წარდგენილი ინგლისის მთავრობის მიერ განსახილველად. ჰფიქრობენ, რომ შესაძლოა ამ საქმემ საერთაშორისო უსიამოვნობა გამოიწვიოსო, რადგან ამისთანა შეპყრობა გემისა დარღვევაა რუსეთისა და ინგლისის ხელ-შეკრულობისა, რომელიც 1886 წელს იყო დადებული. უსიამოვნება მოხდება მაშინ, თუ რუსეთმა არ უზღო ინგლისს ზარალი, რომელიც მიეცათ გემის პატრონებსაო.

**იტალია.** იტალია და გერმანია ერთმანეთს ებუტებიან. გერმანია ემდურება იტალიას იმიტომ, რომ ვერ მოახერხა აეცილებინა თავიდამ საფრანგეთის ესკადრის მიღება დიდის ამბით გენუაში; იტალია კიდევ იმას ემდურება, რომ გერმანიამ გენუაში ერთი რაღაც უხეირო გემი გამოჰგზავნა და ჩვენი დიდი დღესასწაული ქრისტ. კოლუმბის სადიდებლად მასხარად აიგდოვო.

— გაზ. „Tribuna“-მ დაბეჭდა, საფრანგეთის ესკადრა რომ მივიდა გენუაში: „სალამს ვაძლევთ იმ დროშას, რომელმაც 33 წლის წინად ახარა გენუას, მოდის ჯარი და ეს ჯარი გააერთიანებს, განათავისუფლებს იტალიასაო. სალამს ვაძლევთ სწორედ ამ დროშას და არა იმას, რომელიც იცავდა ვენეციასა და დალმაციას იტალიის წინააღმდეგ“.

— გაზ. „Fanfulla“ ამბობს, ეგ არის გათავდა მტრობა და ქიშპი იტალიასა და საფრანგეთს შორისაო.

— გაზ. „Secolo“-ში დაბეჭდილია წერილი იტალიის უხუცესის პოეტისა და პატრიოტის კავალოტისა სათაურით „სალამი ფრანგებს“. ამ წერილში კავალოტი დიდის თანაგრძნობით ლაპარაკობს საფრანგეთის შესახებ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საფრანგეთის ესკადრის მოსვლა ჩვენს ქვეყანაში წინამორბედი იქნება ჩვენის მეგობრობისა, რომელსაც საფუძველი მიეცა ჯერ ისევ მაშინ, როცა ნიცაში გარიბალდის სახსოვრად იქმნა გამართული დღესასწაულიო.

**გერმანია.** პრუსიის სამინისტროში ჩამოვარდა ლაპარაკი, რომ მოსამსახურენი დაზღვეულ იყვნენ იმ შემთხვევისთვის, თუ ვინიცობაა ავადმყოფობა ეწვიათო. ჰფიქრობენ, ამ საქმეში მონაწილეობა მიაღებინონ მოსამსახურეთა პატრონებსაც.

— გარდაიცვალა 76 წლის მოხუცებული დეპუტატი მეიერ-არნსვალდე. ეს დეპუტატი კონსერვატორი იყო, მაგრამ არა ისეთი, რომლებიც ასე გამრავლდნენ ამ ბოლოს დროს გერმანიაში. ყველა გაზეთმა დიდის თანაგრძნობის ნეკროლოგები დაჰბეჭდა მიცვალებულის შესახებ. მეიერ-არნსვალდე ერთი იმ კონსერვატორთაგანი იყო, რომელნიც ბისმარკის უკანასკნელს ახირებულს დროსაც-კი მტკიცედ ადგნენ თავიანთ საკუთარს აზრსა და არა ჰკარგავდნენ თავიანთ დაუმოკიდებლობას.

**ავსტრი-ვენგრია.** საწყალი ჩეხია! საკუთარი ღვიძლი შვილებიც-კი ჰღალატობენ. ჩეხიის ბარონებს, ანუ დიდ-კაცობის წარმომადგენელთ უფრო ავსტრიის გერმანელების მხარე უჭირავთ, ვიდრე ჩეხიის წარმომადგენელ მლადო-ჩეხებისა. ეგენი დემოკრატები არიანო და ჩვენ, ჩეხიის მემამულეებს, მაგათთან საერთო არა გვაქვს-რაო, ჰფიქრობენ ეს ჩეხიის ულირსნი შვილნი და სულით და გულით ეკედლებიან თავიანთ მტერს მხოლოდ პირადის ანგარიშით. ავსტრიის მთავრობას იმედი აქვს, რომ ჩეხიის სეიმში ამისთანა ბარონებს ერთ 70-მდე მაინც აარჩევინებს. სამწუხაროდ, 600 ფეოდალს ჩეხიაში იმდენივე ხმა აქვს სეიმის დეპუტატების არჩევაში, რამდენიცა აქვს დანარჩენ 1 მილიონ ხალხს.

— გამოჩენილი მთავარ-სარდალი გერმანიის სოციალისტებისა ბებელი ამ დღეებში ვენაში გახლდათ. დიდის ამბით მიიღეს იქაურმა მუშებმა და სოციალისტებმა, რომელნიც ორ დასად არიან გაყოფილნი. ერთნი ჰფიქრობენ, რაც შეიძლება, ჩქარა მილეწ-მოლეწონ დღევანდელი წესწყობილება და ძალმომრეობით გაამეფონ ქვეყანაზედ ძმობა და ერთობა; ხოლო მეორენი, რომელთაც წინამძღოლობს დოქტორი ადლერი, იმ აზრისანი არიან, რომ კანონიერად უნდა ვიმოქმედოდ და კეთილგონიერის ქცევით შევიძინოთ საპოლიტიკო უფლებანიო. ბებელმა, რასაკვირველია, ადლერის მიმართულებას მისცა მხარი და გესლიანის ენით აიგდო მასხარად ის ცხარენი და მოუთმენელნი, რომელთაც ჰგონიათ, რომ ქვეყანაზედ სიმართლისა და ძმობის დამყარება უთუოდ სისხლის ღვრით და ბარიკადების დამართვით უნდა მოხდესო. ბებელმა სთქვა, რომ მუშა ხალხი უნდა სცდილობდეს საარჩევანო უფლება, კენჭი მოიპოვოს და ამ კენჭით ამრავლოს თავისი მომხრენი და მით აჯობოს თავის მტრებსაო, რათა შემდეგ კანონმდებლობა ისე მიჰმართოს, როგორც თავისი სურვილი იქნებაო. აი, ეხლა გერმანიაში სოციალისტებს ისეთი ძალა გვაქვს, რომ მთავრობა, მეტი ღონე არ არის, ჩვენს სურვილს მხარს ვერ აუქცევს და, ასე თუ ისე, ყურადღებით ეპყრობაო.

## წვრილი ამბავი

### უმაწვილების კბილები

ინგლისში ამას წინად კომისია იყო შემდგარი კბილის ექიმებისა, რომელმაც უმაწვილები დასინჯა და 1 — 2 წლის 5,249 უმაწვილ შორის მხოლოდ 485 ჰქონდა სრულიად მთელი კბილები; 5 წლის უმაწვილებ შორისაც მხოლოდ 20% ჰქონია დაუჭიანებელი კბილები. ექიმი ლივეიც, რომელსაც ბოსტონში 4,000 მოსწავლე უმაწვილი გაუსინჯავს, ამბობს, რომ იშვიათად თუ აქვს ვისმე მთელი და დაუზიანებელი კბილები, მეტადრე თუ უმაწვილები 10 წელს გადაცილებულნი არიან. ექიმმა ფიშერმა გასინჯა 409 უმაწვილი, რომელნიც ზღვაოსნობასა სწავლობდნენ ინგლისის ერთს ხომალდზედ, და მხოლოდ 80 აღმოაჩნდა კარგი და მაგარი კბილები. კუნნიჰამის აზრით, გულდში 10,000 მოსწავლეს შორის 5,960 წამხდარი კბილი აქვს. ინგლისში ყოველს წელიწადს 10.000,000 ხელოვნებით გაკეთებული კბილი იყიდება, თუმცა ყველას არ მიუწვდება ხელი და შეძლება არა აქვს მისის ყიდვისა. პროფესორი კრიჩტონ-ბროუნი კბილების დაჭიანების მიზეზად იმ წვნიანს საჭმელსა სთვლის, ურომლისოდაც ხალხს ეხლა ვერ გაუძლია. წინად ხალხი მაგარს საჭმელსა სჭამდა, საჭმელს, რომელსაც ბევრი ღეჭვა უნდოდა და ამის წყალობით კბილები და ღრძილები სუფთავდებოდა. კბილების დაჭიანების მეორე მიზეზი კიდევ ეხლანდელი პურია, რომელიც მეტად წმინდა, კარგად დათქვეულ, ქატო გამოცლილ ფქვილისას აკეთებენ. ასე მომზადებულს პურში უფრო ნაკლებად მოიპოვება ის მარილი, რომელიც კბილს მინანქრისებულს სიმაგრეს, ელვარებასა და პეწს აძლევს. ამ მიზეზის გამოისობით კბილი ცუდად იზრდება და ჩქარა ფუჭდება. ნერვების მოშლილობა და აგრეთვე ის გარემოება, როცა ადამიანს ჭამა-სმა არ შეერგება, კბილებს უხდენს ადამიანს და არამც თუ მარტო იმას, არამედ იმის შთამომავლობასაც: უმაწვილები მილეულები იბადებიან, კარგად ვერ იზრდებიან და ეს გარემოება კბილებზედაც ჰმოქმედებს. შეძლებულ მშობლების შვილებს ჩვეულებრივ უფრო ცუდი კბალები აქვთ, ვიდრე ღარიბ მშობლების შვილებს, თუმცა შეძლებულნი დიდს ყურადღებას აქცევენ თავისს კბილებს და უვლიან. ამისი მიზეზი მშობლების სისუსტეა და სნეულება ნერვების მხრივ. შეშლილებსა და დამთხვეულებს კბილები ყოველთვის წამხდარი აქვთ. პროფესორს კრიჩტონ-ბროუნს 113 სუსტ-ჭკუიანი უმაწვილი გაუსინჯავს და მხოლოდ ერთსა ჰქონია მაგარი და დაუჭიანებელი კბილები. კბილების დაჭიანებაზედ მცხოვრებთა მჭიდროდ დასახლებაცა ჰმოქმედობს. ქალაქების ჰაერში მიკრობ-ბაცილა ბევრია, რომელიც პირში მოექცევა ადამიანს და აჭიანას იკეთებს. კიდეც ეს არის მიზეზი იმ ინგლისელთა ჩვეულებისა, რომ ყოველთვის, როდესაც-კი გადამდებ სენით ავადმყოფსა ჰნახავენ, გამოავლებენ ხოლმე და ამითი იშორებენ პირში ჩაცვივნულს მიკრობ-ბაცილებს.

### წერილი რედაქციის მიმართ

გიგზავნით დ. ოჩამჩირეში ჩვენ მიერ შეკრებილ 54 მ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ. სია შემომწირველთა: მელანია ბოსტაშვილის ასულმა, ქრივმა ინაშვილისამ, აწ განსვენებულმა, შემოსწირა 10 მ., მარია ჩაჩავასამ 3 მ., კონსტანტინე წერეთელმა 3 მ., თეიმურაზ ჩაჩავამ 2 მ., ბლაღ. მღვდ. ივანე კერესელიძემ 1 მ., იასონ გეგელაშვილმა 1 მ. 30 კაპ., ვ. შალიბოვმა 1 მ., თომა ეშიბაიამ 1 მ., სალ. კერესელიძემ 1 მ., კ. ჟორდანიამ 1 მ., ნესტორ მამცელიძემ 1 მან., ქაიხოსრო მახარაძემ 1 მ., გიორგი აბაშიძემ 1 მ., ტრიფონ კაჭარავამ 1 მ., გოგია სიჭინავამ 1 მ., მიდილ-ოღლიმ 1 მ., გ. ლოლუამ 1 მ., ტაგე ბოკუჩავამ 1 მ.. ალექსი გულავამ 1 მ., პროკოპ საბაშვილმა 1 მ., ანთ. ტრაპაიძემ 1 მ., სერგეი ბალახვანცვიმ 1 მ., სიმონ გ—იამ 1 მ., ბესარიონ ცხაკაიამ 30 კ., დათა კვირაიამ 1 მ., ივანე ლაკერბაიამ 1 მ., გუთუ გვასალიამ 1 მ., ნიკო სეიმინავამ 1 მ., გრიგოლ ბუზუნავამ 1 მ., ფარნა დავითაიამ 1 მ. სოსო თურქიამ 1 მ., ფარნა ჯავახიამ 50 კ., ბახვა ქაქუთიამ 1 მ., ყარამან ჯავახიამ 1 მ., ნესტორ ნოდიამ 60 კ., ი. თვალთვაძემ 50 კ., ზაქარა შარვაძემ 40 კ., გაუსენ მემიშმა 40 კ., დომენტი ინწკირველმა 20 კ., ნ. მალანიამ 40 კ., ა. ქურციკიძემ 30 კ., ს. ქარქიამ 30 კ., სოფრონ ნადირეიშვილმა 40 კ., ომერ კვიწინიამ 40 კ., ს. ტრაპაიძემ 20 კ., ჯურუმიამ 60 კ., ბ. ჩოჩიამ 60 კ., პ. ზ. 20 კ., ი. ტაბიძემ 50 კაპ., ბ. გოგიამ 40 კ., ა. შუშანიამ 50 კ.

სალომე კერესელიძე
იასონ გეგელაშვილი

## დეპეშა

8 სექტემბერი

**პეტერბურგი.** გუშინ გარდაიცვალა პეტერბურგის მიტროპოლიტი

ისიდორე. 23 აგვისტოს მიტროპოლიტს წითელის ქარისებური ანთება გაუჩნდა მარცხენა ხელზედ, 1 სექტემბრიდგან ანთება მუცელზედ დაეწყო. მიტროპოლიტი თანდათან უძლურდებოდა, მაგრამ გრძნობა-კი არ დაუკარგავს. ორშაბათს ღამეს უფრო ცუდად შეიქმნა, დილის 8 საათზედ წმ. ზიარება მიიღო, ექიმს ებაასა და ინახულა სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგი საბლერი. მის სულის დალევას დაესწრნენ ეპისკოპოსად ნამყოფნი სტავროპოლისა გერმანე, ლადოგისა ნიკოლოზი, ყაზანის ტაძრის დეკანოზი ლებედევი და სხვა სასულიერო წოდების კაცნი.

პოდოლის გუბერნატორი გლინკა დანიშნულია შინაგან საქმეთა მინისტრის საბჭოს წევრად.

**პარიჟი.** ამ უკანასკნელ დღეებს უამინდობამ ცუდად იმოქმედა ბ-ნ გირსის ჯანმთელობაზედ და ექიმმა ურჩია, ოთახიდგან ნულარ გამოხვალო.

9 სექტემბერი

**პეტერბურგი.** მიტროპოლიტის ისიდორეს გვამი დღეს დილის 9 საათზედ გაასვენეს წმ. სამების ტაძარში, ხოლო ხვალ დილის 9 საათზედვე ანდერძს აუგებენ.

ფინანსთა მინისტრად ნამყოფი ვიშნეგრადსკი გურზუფში წავიდა.

10 სექტემბერი

**სიმლა.** ჰერცოგი კონნოტისა დანიშნულ იქმნება ინდოეთში მთავარსარდლად გენერალ რობერტსის მაგიერ.

**პარიჟი.** ბ-ნი გირსი ბევრად უკეთ არის. ჰგონემენ, რომ გირსი მალე შეიძლებს სამხრეთ საფრანგეთის გადასვლას.

დაგომელების ჯარი, 5000 კაცამდე გუშინ დაესხა თავს საფრანგეთის ჯარს დოგბას ახლო, მაგრამ უკუქცეულ იქმნა. მტრის ჯარს მოუკვდა 1000 კაცი და დარჩა ბრძოლის ადგილს დიდ-ძალი მსწრაფლ-მსროლი თოფები. საფრანგეთის ჯარს მოუკლეს 4 კაცი, მათ შორის 2 აფიცერია, 10 კაცი დასჭრეს. საფრანგეთის ჯარი წინ-წინ მიდი.

მეორე შინაგან სესხის ხუთას მანათიანი მოგებანი ჰხვდა შემდეგს ბილეთებს

| №№ ბილეთ. | №№ სერ. | №№ ბილეთ. | №№ სერ. | №№ ბილეთ. | №№ სერ. |
|---|---|---|---|---|---|
| 2 | 6003 | 8 | 1111 | 10 | 13033 |
| 2 | 8177 | 8 | 3818 | 10 | 14287 |
| 3 | 1166 | 8 | 4803 | 11 | 1242 |
| 3 | 3579 | 8 | 7460 | 11 | 3402 |
| 3 | 4443 | 8 | 15129 | 11 | 5302 |
| 3 | 15150 | 8 | 16154 | 11 | 12371 |
| 3 | 16417 | 8 | 17218 | 12 | 2377 |
| 3 | 18241 | 9 | 1038 | 12 | 2570 |
| 3 | 19410 | 9 | 1777 | 12 | 3782 |
| 4 | 988 | 9 | 7330 | 12 | 8620 |
| 4 | 7693 | 9 | 7353 | 12 | 11536 |
| 4 | 17334 | 9 | 9810 | 12 | 17026 |
| 5 | 966 | 9 | 12410 | 13 | 789 |
| 5 | 2618 | 9 | 13476 | 13 | 3072 |
| 5 | 8720 | 10 | 195 | 13 | 5698 |
| 6 | 7644 | 10 | 2915 | 13 | 7883 |
| 6 | 17405 | 10 | 6705 | 13 | 10826 |
| 7 | 15461 | 10 | 7544 | 13 | 13103 |
| 7 | 15604 | 10 | 11497 | 13 | 15217 |
| 8 | 623 | 10 | 12024 | 13 | 16518 |
| 14 | 904 | 30 | 453 | 39 | 15693 |
| 14 | 7418 | 30 | 901 | 40 | 6785 |
| 14 | 10350 | 30 | 1258 | 40 | 10982 |
| 14 | 11298 | 30 | 2668 | 40 | 12470 |
| 15 | 8032 | 30 | 13321 | 40 | 15200 |
| 15 | 9536 | 30 | 14238 | 40 | 18854 |
| 16 | 7406 | 30 | 19526 | 41 | 2823 |
| 16 | 9598 | 31 | 1408 | 41 | 4599 |
| 16 | 14201 | 31 | 2381 | 41 | 7016 |
| 16 | 16466 | 31 | 8634 | 41 | 9122 |
| 16 | 16583 | 31 | 8784 | 41 | 13230 |
| 16 | 18089 | 31 | 13010 | 41 | 14214 |
| 17 | 4865 | 31 | 13433 | 41 | 17399 |
| 17 | 17803 | 31 | 18958 | 41 | 18296 |
| 17 | 19773 | 32 | 5112 | 42 | 175 |
| 18 | 727 | 32 | 8942 | 42 | 562 |
| 18 | 3567 | 32 | 17367 | 42 | 2588 |
| 18 | 5139 | 32 | 18745 | 42 | 4441 |
| 18 | 6147 | 33 | 8 | 42 | 10277 |
| 18 | 7548 | 33 | 3504 | 42 | 15380 |
| 18 | 8538 | 33 | 4614 | 43 | 607 |
| 18 | 9052 | 33 | 5938 | 43 | 11060 |
| 18 | 11305 | 33 | 9210 | 43 | 15530 |
| 18 | 11309 | 33 | 11343 | 43 | 16969 |
| 18 | 15069 | 33 | 12709 | 44 | 772 |
| 18 | 17704 | 33 | 13972 | 44 | 1234 |
| 18 | 19729 | 33 | 15147 | 44 | 16498 |
| 19 | 2254 | 33 | 16319 | 45 | 4187 |
| 19 | 2590 | 33 | 19628 | 45 | 6649 |
| 19 | 3438 | 34 | 1622 | 45 | 11348 |
| 19 | 4537 | 34 | 5025 | 45 | 12110 |
| 19 | 8080 | 34 | 8613 | 45 | 14613 |
| 20 | 2155 | 34 | 11320 | 45 | 14658 |
| 20 | 6373 | 34 | 13233 | 45 | 17166 |
| 20 | 6731 | 35 | 1545 | 46 | 76 |
| 20 | 11176 | 35 | 3774 | 46 | 5562 |
| 21 | 3188 | 35 | 4524 | 46 | 11079 |
| 21 | 15495 | 35 | 4831 | 46 | 11732 |
| 21 | 15591 | 35 | 7199 | 46 | 14660 |
| 21 | 16976 | 35 | 8784 | 46 | 15554 |
| 23 | 984 | 35 | 9547 | 46 | 17560 |
| 23 | 5518 | 35 | 10009 | 47 | 43 |
| 23 | 12078 | 36 | 700 | 47 | 1490 |
| 23 | 13302 | 36 | 2820 | 47 | 6174 |
| 23 | 14038 | 36 | 6662 | 47 | 6240 |
| 23 | 14526 | 36 | 7153 | 47 | 17530 |
| 23 | 16597 | 36 | 7568 | 47 | 17704 |
| 24 | 10037 | 36 | 10083 | 47 | 18347 |
| 25 | 6001 | 36 | 12253 | 48 | 5515 |
| 25 | 11214 | 36 | 12762 | 48 | 7336 |
| 25 | 11564 | 36 | 15970 | 48 | 15176 |
| 25 | 14089 | 36 | 18237 | 48 | 17170 |
| 26 | 666 | 36 | 18832 | 48 | 17642 |
| 26 | 3766 | 37 | 3016 | 49 | 986 |
| 26 | 6425 | 37 | 4855 | 49 | 2255 |
| 26 | 14583 | 37 | 11870 | 49 | 13097 |
| 26 | 15464 | 37 | 17027 | 49 | 13180 |
| 26 | 16161 | 37 | 18705 | 49 | 16809 |
| 26 | 19440 | 38 | 3812 | 49 | 17976 |
| 27 | 157 | 38 | 4536 | 49 | 19758 |
| 27 | 4706 | 38 | 4970 | 50 | 6263 |
| 27 | 12425 | 38 | 9584 | 50 | 9517 |
| 28 | 8027 | 39 | 2266 | 50 | 9824 |
| 28 | 13582 | 39 | 6286 | 50 | 14869 |
| 29 | 11874 | 39 | 9104 | 50 | 19362 |
| 29 | 13755 | 39 | 9185 | 50 | 19511 |
| 29 | 18774 | 39 | 12169 | | |

ნომრები სერიებისა, რომელიც ტირაჟში გამოვიდა.

5481, 16032, 10413, 17547, 5900, 19074, 5710, 2941, 17757, 17799, 18837, 16860, 10406, 19698, 8271, 18974, 10372, 19230, 7851, 16415, 17605, 7632, 878, 14678, 5814, 9403, 16268, 8197, 15909, 187, 10775, 8959, 4214, 11026, 11010, 13354, 3580, 5451, 5138, 3717, 10939, 2689, 19988, 18651, 18240, 16773, 2534, 5204, 4649, 5754, 13020, 11261, 11712, 5307, 15053, 4070, 7175, 6361, 4562, 11947, 2088, 17049, 7459, 13518, 9404, 1368, 11462, 8354, 11186, 10519, 16439, 10128, 11918, 17255, 15667, 14623, 6804, 16358, 2796, 7495, 9037, 6259, 8775, 17427, 13044, 2778, 4999, 4992, 1276, 11962, 955, 3610, 8338, 5375, 14469, 405.

პეტერბურგის ბირჟა, 9 სექტ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,87 | 7,90 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 157¼ | 158 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 235 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 217 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — „ | — „ | 191½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | 102¼ | — „ | — „ |
| 5% . . . . . . | 99⅞ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | 102¼ | — „ | — „ |
| 5% . . . . . . | 99⅞ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

**გამოსადეგი ცნობანი**

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. სად.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. სად.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. სად.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

# განცხადებანი

მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის, იმპერატრიცა მარიამის სახელობაზედ დაარსებულს დაწესებულებათა საკუთარის კანცელარის მთავარ-გამგებელის ნება-დართვით კავკასიის ამიერ მხრის საქალებო ინსტიტუტის საბჭო აუწყებს დედ-მამათა, ნათესავთა და მოსწავლეთა მზრუნველთა, რომ მათი შვილები, როგორც საზაფხულოდ დათხოვნილნი, აგრეთვე ახლად მისაღები, უნდა გამოცხადდნენ ინსტიტუტში არა უადრეს 2 ოქტომბრისა.

განკარგულება ესე არ შეეხება იმ მოწაფეთა, რომელნიც სცხოვრობენ ტფილისში. (1—1)

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

შუადღის 12-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

საღამოთი 5-დგან 7 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე. (150—106)

**იოსებ** და **ანასტასია დავითის ძენი ბაქრაძენი** და **ეფემია დავითის ასული** ქვრივი **შათილოვისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა დედისა თვისისა, ტიტულიარნი სოვეტნიკის მეუღლის **ნინო ივანეს ასულის ბაქრაძისასა** და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის განსასვენებლად შაბათს, 12 სექტემბერს, დილის 9 საათზედ (ბაგრატიონის ქუჩა, სახლი № 30) ანჩხატის ტაძარში. პანაშვიდი იქმნება პარასკევს, საღამოს 7 საათზედ.

იოსებ ი. გოკიელოვის მაღაზიაში

# ქუთაისში

ისყიდება მოსწავლეთა რვეულები (ტეტრადები) კარგის ხარისხისა.

თითო 3 კაპ.

**ასობით** 2 მ.—50 კ.

აგრეთვე მცირე ფასებად მოსწავლეთა ყველა კუთვნილებანი.

(20—116—2)

# ბუნების კარი

დაიბეჭდა წერა-კითხვის საზოგადოების მიერ მეშვიდე გამოცემა, გადმობეჭდილი უცვლელად მეხუთე გამოცემიდგან, რომელიც სახელ-გაკეთებულია (рекомендовано) განათლების მინისტრისაგან როგორც „მშვენიერი სახელმძღვანელო ქართულის ენისა სახალხო სკოლებისა და პროგიმნაზიებისათვის“, და აგრეთვე უწმიდესის სინოდის მიერ. ფასი მკვიდრი და ლამაზი ყდით ოთხაბაზუზალთუნი (90 კაპ.), უყდოდ ეს გამოცემა არ ისყიდება. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცს ცალსა—თხუთმეტ შაურადდავინც ოც-და-ათს ცალსა—თოთხმეტ შაურად.

სხვა ქალაქებიდგან წიგნი უნდა დაიბარონ ამ ადრესით: въ Тифлисъ, въ книжный магазинъ Общества грамотности, Банковскій Караванъ-Сарай, № 125 и 126.



ტფ. გამოფენა.



ვერცხლისა



ოქროსი

ЗАВОДЪ
МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
**А. А. ТУТАЕВА.**

*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*

Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее. ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

## კლიმენტი თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით ვაზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფაეტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირასიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—34)